

# 5
# ნინო მოსეშვილი
# ვიბრაციები
# VIBRATIONS
## NINO MOSESHVILI

5

# ნინო მოსეშვილი
# ვიბრაცია
# VIBRATIONS
# NINO MOSESHVILI

BAIA GALLERY

გამოფენა / EXHIBITION / 20.06 – 15.07.2023




ნინო მოსეშვილის არაფიგურატიული ფერწერა, რომელიც აბსტრაქციისა და ექსპრესიული ფორმადქმნადობის საზღვარზე ბალანსირებს, იმგვარად წარმოგვიდგენს ობიექტს, რომ ფორმის დაშლის და შექმნის პროცესზე დასწრების შთაბეჭდილება იქმნება, რითაც მხატვარი ენერგიის მიზანმიმართული დინამიკის ეფექტს ქმნის. მონასმით და ფერის გრადაციით მოდელირებული ფორმები - მთების და წყლის მოციმციმე მასივები, მეტროს მიწისქვეშა სადგურები - შესრულებული პულსაციის, დინებისა და ჭავლის ეფექტით, ჩანჩქერივით მოედინება დიდი ფორმატის ტილოებზე. ფერისა და ენერგიის „გადმოღვრის“ იმიტაციით მხატვარი ახერხებს ემოციურად ჩაგვრთოს თავის შემოქმედებით სისტემაში, ჩაგვითრიოს მის მიერ შექმნილ ფერწერულ „მორევებში“, ქვესკნელის საიდუმლოებებს გვაზიაროს ან მთის სიმაღლეებზე აგვიტაცოს სუნთქვაშეკრულები. ამ მოტივთა გამეორებით და შესრულების მანერით მხატვარი „ობიექტთა“ სიმბოლურ და ესთეტიკურ კატეგორიად გარდაქმნის შესაძლებლობას ქმნის. მისი აბსტრაქციები თითქოს ნაკადის ენერგიით დატენილი ნაღმებია, ვარსკვლავების აფეთქების ეფექტით, გალაქტიკების მოციმციმე ფაქტურით, წყლის ლივლივითა და დინამიკურობით. ეს სამყაროს შექმნის, გარდასახვის პროცესული იმიტაციაა, სამყაროს დასასრულის საშიშროებაც იგრძნობა. მხატვარი მორევში ჩათრევის, ქვესკნელში ჩაკარგვის დრამატიზმით მართავს ნამუშევრებიდან ჩვენკენ მომართულ ემოციურ ველს და მისტიკური ფორმულირებით წარმოადგენს საკუთარი შემოქმედების კონცეპტს.

ბაია წიქორიძე

Nino Moseshvili's non-figurative paintings, which balance on the verge between abstractive and expressive shapes, present their objects in such a way that they create the impression of attending the process of disintegration and creation of a form. As such, they produce an effect of the purposeful dynamics of energy. Forms are modeled through brush strokes and color gradations: flickering massifs of mountains and water, or underground subway stations, are accompanied by the effects of pulsation, flowing, spurting and cascading like a waterfall on the large-scale canvases. By imitating the "spillover" of color and energy, the artist manages to emotionally engage viewers in her visual system – to immerse them in the pictorial "whirlpools" of her own creation, to share the secrets of the underworld, or to take them to the breathtaking tops of mountains. By repeating these motifs and the manner of execution, the artist creates an opportunity to transform "objects" into symbolic and aesthetic categories. Her abstractions resemble mines charged with energy, the effect of stellar explosions, the flickering texture of galaxies, or the swirling motion of water. This is an imitation of the processes involved in creating and transforming the earth, which also reveals the danger of its demise. The artist synthesizes the emotional stream emanating from the works with the drama of being dragged into a whirlpool or an underworld, presenting the notion of her own creation in a mystical formula.

Baia Tsikoridze



ᲛᲔᲢᲐᲚᲘᲡ ᲕᲘᲑᲠᲐᲪᲘᲐ / THE VIBRATION OF METAL / ტილო, აკრილი / Acrylic on canvas / 189 x 266 cm. 2021



ᲬᲧᲚᲘᲡ ᲕᲘᲑᲠᲐᲪᲘᲐ / THE VIBRATION OF WATER / ტილო, აკრილი / Acrylic on canvas / 143 x 206 cm. 2021



ᲮᲘᲡ ᲕᲘᲑᲠᲐᲪᲘᲐ / THE VIBRATION OF TREE / ტილო, აკრილი / Acrylic on canvas / 151 x 246 cm. 2023





ᲪᲔᲪᲮᲚᲘᲡ ᲕᲘᲑᲠᲐᲪᲘᲐ / THE VIBRATION OF FIRE / ტილო, აკრილი / Acrylic on canvas / 184 x 215 cm. 2023

ᲮᲘᲡ ᲕᲘᲑᲠᲐᲪᲘᲐ / THE VIBRATION OF TREE / ტილო, აკრილი / Acrylic on canvas / 181 x 215 cm. 2023



წყლის ვიბრაცია / THE VIBRATION OF WATER / ტილო, აკრილი / Acrylic on canvas / 181 x 246 cm. 2023



ᲛᲘᲬᲘᲡ ᲕᲘᲑᲠᲐᲪᲘᲐ / THE VIBRATION OF EARTH / ტილო, აკრილი / Acrylic on canvas / 186 x 246 cm. 2023



ᲪᲔᲪᲮᲚᲘᲡ ᲕᲘᲑᲠᲐᲪᲘᲐ / THE VIBRATION OF FIRE / ტილო, აკრილი / Acrylic on canvas / 159 x 271 cm. 2022



მიწის ვიბრაცია / THE VIBRATION OF EARTH / ტილო, აკრილი / Acrylic on canvas / 207 x 143 cm. 2021



ცეცხლის ვიბრაცია / THE VIBRATION OF FIRE / ტილო, აკრილი / Acrylic on canvas / 144.7 x 96.6 cm. 2021

## ᲜᲘᲜᲝ ᲛᲝᲡᲔᲨᲕᲘᲚᲘ

დაიბადა 1975 წელს, თბილისი, საქართველო

1995-2003 თბილისის სახელმწიფო სამხატვრო აკადემია, საქართველო
2007-2011 მიუნხენის სამხატვრო აკადემია, გერმანია

**ᲞᲔᲠᲡᲝᲜᲐᲚᲣᲠᲘ ᲒᲐᲛᲝᲤᲔᲜᲔᲑᲘ:** 2005 თანამედროვე ხელოვნების გალერეა, თბილისი, საქართველო; 2005 კავკასიური სახლი, პარიზი, საფრანგეთი; 2006, 2008 გალერეა Racio, თბილისი, საქართველო; 2008 მხატვართა კავშირის გალერეა, თბილისი, საქართველო; 2015 გალერეა შარდენი, თბილისი, საქართველო; 2021 „სიხშირე“, გალერეა E.K.E, მადრიდი, ესპანეთი; 2023 „ხუთი ვიბრაცია“, ბაია გალერეა, თბილისი, საქართველო.

**ᲯᲒᲣᲤᲣᲠᲘ ᲒᲐᲛᲝᲤᲔᲜᲔᲑᲘ:** 1998 თბილისის ისტორიის მუზეუმი, საქართველო; 2000 ვანდა გალერეა, თბილისი, საქართველო; 2001, 2002, 2004 ეროვნული გალერეა, თბილისი, საქართველო; 2003 თანამედროვე ხელოვნების გალერეა, თბილისი, საქართველო; 2004 გალერეა უნივერსი, თბილისი, საქართველო; 2005 ქართული დღეები იაპონიაში; 2006 გალერეა კოპალა, თბილისი, საქართველო; 2006 გალერეა არსი, თბილისი, საქართველო; 2007 გალერეა უნივერსი, თბილისი, საქართველო; 2007 მერაბ ბერძენიშვილის კულტურის საერთაშორისო ცენტრი, თბილისი, საქართველო; 2008 მიუნხენის სამხატვრო აკადემია, გერმანია; 2009 გალერეა Besharat, ატლანტა, აშშ; 2009 „წითელი“, გალერეა N9, თბილისი, საქართველო; 2009 სახელმწიფო არქივი, ფლორენცია, იტალია; 2011 KunstArkaden, მიუნხენი, გერმანია; 2013 თბილისის ისტორიის მუზეუმი, საქართველო; 2018 ეროვნული გალერეა, თბილისი, საქართველო; 2019 თბილისის პრინტის ფესტივალი „Life N Style”, თბილისი, საქართველო; 2021 „არტ ექსპო XX-XXI“, ბაია გალერეა, თბილისი, საქართველო; 2022 „მხატვრების კოლექციები II”, ბაია გალერეა, თბილისი, საქართველო.

## NINO MOSESHVILI

Born in 1975, Tbilisi, Georgia

1995-2003 Tbilisi State Academy of Arts, Georgia
2007-2011 The Academy of Fine Arts, Munich, Germany

**SOLO EXHIBITIONS:** 2005 Modern Art Gallery, Tbilisi, Georgia; 2005 The Caucasian House, Paris, France; 2006, 2008 Gallery Racio, Tbilisi, Georgia; 2008 Gallery of Georgian Artist Union, Tbilisi, Georgia; 2015 Chardin Gallery, Tbilisi, Georgia; 2021 ‘Frequency,’ E.K.E Gallery, Madrid, Spain; 2023 ‘Five Vibrations,’ Baia Gallery, Tbilisi, Georgia.

**GROUP EXHIBITIONS:** 1998 Tbilisi History Museum, Georgia; 2000 Vanda Gallery, Tbilisi, Georgia; 2001, 2002, 2004 The National Gallery, Tbilisi, Georgia; 2003 Modern Art Gallery, Tbilisi, Georgia; 2004 Gallery Universe, Tbilisi, Georgia; 2005 Georgian Days in Japan; 2006 Gallery Kopala, Tbilisi, Georgia; 2006 Gallery Arsi, Tbilisi, Georgia; 2007 Gallery Universe, Tbilisi, Georgia; 2007 Merab Berdzenishvili International Cultural Center, Tbilisi, Georgia; 2008 Munich Art Academy, Germany; 2009 Besharat Gallery, Atlanta, USA; 2009 ‘Red,’ Gallery N9, Tbilisi, Georgia; 2009 ‘Archivio di Stato,’ Florence, Italy; 2011 KunstArkaden, Munich, Germany; 2013 Tbilisi History Museum, Georgia; 2018 The National Gallery, Tbilisi, Georgia; 2019 Tbilisi Print Festival Life N Style, Tbilisi, Georgia; 2021 ‘Art Expo XX-XXI,’ Baia Gallery, Tbilisi, Georgia; 2022 ‘Artists’ Collections II,’ Baia Gallery, Tbilisi, Georgia.



ᲬᲧᲚᲘᲡ ᲕᲘᲑᲠᲐᲪᲘᲐ / THE VIBRATION OF WATER / ტილო, აკრილი / Acrylic on canvas / 35 x 36 cm. 2021

| | |
|---|---|
| ნინო მოსეშვილი | NINO MOSESHVILI |
| „ხუთი ვიბრაცია“ | „Five Vibrations” |
| კურატორი: ბაია წიქორიძე | Curator: Baia Tsikoridze |
| ფოტო: გია ჩხატარაშვილი | Photo: Gia Chkhatarashvili |
| დიზაინი: გეგა პაქსაშვილი | Design: Gega Paksashvili |
| მთარგმნელი: თამარ ჯანაშია | Translator: Tamar Janashia |
| რედაქტორი: ციცი ჩახნაშვილი | Editor: Tsitsi Chakhnashvili |
| კარლ ვეტჰამი | Carl Whetham |
| გალერეის გუნდი: | GALLERY TEAM: |
| სოფიო მერაბიშვილი, ნინო ჭიაბრიშვილი | Sophia Merabishvili, Nino Chiabrishvili |
| იაკო რუსაძე, ლიზა ტყემალაძე | Iako Rusadze, Liza Tkemaladze |
| ნატო შუშანია, ლიკა ლორთქიფანიძე | Nato Shushania, Lika Lortkipanidze |

BAIA GALLERY

თბილისი, 0179, რაზმაძის ქუჩა 68 / Tbilisi, 0179, Razmadze Str. 68
tel: (995) 599 411 318

თბილისი, 0108, ინგოროყვას 19ა / Tbilisi, 0108, Ingorokva Str. 19a
tel: (995) 599 505 302

www.baiagallery.ge baiagalleryexpo@gmail.com Baia Gallery baiagallery_

© All rights reserved

თბილისი 2023 TBILISI

დაიბეჭდა შპს „სეზანში“
CEZANNE
PRINTING HOUSE

ISBN 978-9941-8-5508-5
UDC (უაკ) 75.07101(479.22)(083.824) 6-675



ISBN 978-9941-8-5508-5